



საერთაშორისო მარკეტინგის ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო  
პროგრამის საგამოცდო საკითხები

ლიტერატურა:

- ფილიპ კოტლერი, გარი არმსტრონგი “მარკეტინგის საფუძვლები“, ინგლისურ ენაზე.

კითხვები:

1. რა არის მარკეტინგი და რა მიზანი აქვს მას?
2. რას მოიცავს მარკეტინგული პროცესი?
3. რა არის ფასეულობა და როგორ გამოითვლება?
4. რას მოიცავს მარკეტინგის მართვის კონცეფციები? (განმარტეთ თითოეული)
5. რას მოიცავს მარკეტინგული დაგეგმვის საფეხურები?
6. განმარტეთ კორპორაციის მისია
7. რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს მისია?
8. რა არის ბიზნეს პორტფელი და როგორ ხდება მისი დაგეგმვა?
9. რა იცით სტრატეგიული ბიზნეს ერთეულების შესახებ?
10. რას გულისხმობს პროდუქტის/ბაზრის გაფართოვების (ექსპანსიის) მატრიცა?
11. რა არის სეგმენტაცია, რა და რა სახის არსებობს ?
12. რა არის პოზიციონირება
13. განმარტეთ ბაზარი და მისი ტიპები
14. რა შედის კომპანიაზე მოქმედ მიკრო და მაკრო ძალებში და რა გავლენას ახდენენ მასზე?
15. რა მიზნით მოიძიებენ ინფორმაციას კომპანიები?
16. მარკეტინგული ინფორმაციის მოპოვების რა გზები არსებობს? მოკლედ განმარტეთ თითოეული
17. რა განსხვავებაა პროდუქტსა და მომსახურებას შორის?
18. ვინ არიან მარკეტინგული შუამავლები? დაასახელეთ თითოეული და მოკლედ განმარტეთ
19. განმარტეთ საბითუმო და საცალო ვაჭრობა
20. მიზნობრივი ბაზრის განსაზღვრის რა სტრატეგიები იცით?
21. განსაზღვრეთ პროდუქტის სამი დონე
22. რა არის სამომხმარებლო პროდუქტი, დაასახელეთ და მოკლედ დაახასიათეთ რა და რა სახის არსებობს იგი?
23. რა და რა სახის არსებობს პროდუქტის ასორტიმენტი ? ახსენით თითოეული
24. როგორ ხდება ბრენდისთვის სახელის შერჩევა?
25. ახალი პროდუქტის განვითარების რა ძირითადი საფეხურები არსებობს? მოკლედ დაახასიათეთ თითოეული
26. პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის რა საფეხურები იცით? დაახასიათეთ თითოეული საფეხური
27. რას მოიცავს მარკეტინგული კომუნიკაციის კომპლექსი? მოკლედ ახსენით, რა ახასიათებს თითოეულს?
28. დაასახელეთ და ახსენით მასტიმულირებელი კომპლექსის სტრატეგიები

29. სარეკლამო პროგრამის განვითარებისას რა გადაწყვეტილებების მიღება ხდება? მოკლედ ახსენით თითოეული
30. რისი გათვალისწინებაა საჭირო, სარეკლამო ბიუჯეტის შედგენისას?



საერთაშორისო მარკეტინგის ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამაზე გამოცდა ჩატარდება წერილობით.

თითოეული კითხვა იქნება 10 ქულიანი. თითოეულ ვარიანტში არის 3 კითხვა. მაქსიმუმი ქულები რაც შეიძლება დააგროვოს სამაგისტრო პროგრამაზე შემომსვლელმა არის 30 ქულა. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება თუ კანდიდატი დააგროვებს 15 ქულას.

ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები:

9-10ქულა: ნაშრომის შინაარსობივი, ფორმალური მხარე სრულყოფილია. საკითხი ზუსტად არის დასმული და გადმოცემულია ამომწურავად;

7- 8 ქულა: ნაშრომის შინაარსობივი, ფორმალური მხარე კარგია, მაგრამ საკითხის შესახებ ვერ ავლენს საფუძვლიან ცოდნას;

5- 6 ქულა: საკითხი ზუსტად არის დასმული, მაგრამ არ არის გადმოცემული ამომწურავად;

3-4 ქულა: პასუხი არის ბუნდოვანი, სტუდენტი ავლენს მწირ ცოდნას;

1-2 ქულა: ნაშრომი არასრულყოფილია. გადმოცემულია მხოლოდ ზოგიერთი საკითხი.

0 ქულა: საკითხი პასუხგაუცემელია.